ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7653161

ნომერი: AR11110508

თარიღი : 26.09.2025

გაცემის თარიღი : 06.10.2025

გაცნობის თარიღი : 06.10.2025

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, მოსკოვის გამზირი, N 13, კორპუსი 17;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვერიკო ბაბუციძე პ/ნ 59004005792
- გორი ს. აჩაბეთი

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 16 მაისის №7481540 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2025 წლის 26 სექტემბერს №AR11110508 განცხადებით მომართა ვერიკო ბაბუციძემ და მოითხოვა სამსახურის 2025 წლის 16 მაისის

№7481540 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2025 წლის 16 მაისის №7481540 ბრძანებით №01.17.12.003.265 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (სახლი №17) კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.
სამსახურის 2025 წლის 27 მაისის №7490489 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2025 წლის 16 მაისის №7481540 ბრძანებაში და პირველი პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „1. შეთანხმდეს ქ. თბილისში, მოსკოვის გამზირი №13-ში მდებარე №01.17.12.003.265 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (სახლი №17) კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. საპროექტო შენობა-ნაგებობისთვის, ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად, ცალკე ღია ავტოსადგომის ფართობად დაფიქსირდეს 104.8 კვ.მ., ხოლო ღია ავტოსადგომების რაოდენობად - 7.“.
წინამდებარე განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2025 წლის 16 მაისის №7481540 ბრძანებაში სახლი №17-თვის დაფიქსირდეს 7 ღია ავტოსადგომი, რომლიდანაც 6 ღია ავტოსადგომი მდებარეობს №01.17.12.003.258 საკადასტრო ერთეულზე (82.8 კვ.მ), ხოლო 1 ღია ავტოსადგომი მდებარეობს №01.17.12.003.266 საკადასტრო ერთეულზე (22 კვ.მ).
დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ სამსახურის 2025 წლის 16 მაისის №7481540 ბრძანებით შეთანხმებული ავტოსადგომების გადანაწილების სქემის მიხედვით სახლი №17-ისთვის გათვალისწინებულია 7 ღია ავტოსადგომი, აქედან 6 ღია ავტოსადგომი მდებარეობს №01.17.12.003.258 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე (82.8 კვ.მ.), ხოლო, 1 ღია ავტოსადგომი №01.17.12.003.266 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე (22 კვ.მ.).
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 16 მაისის №7481540 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,
ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:
1.გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 16 მაისის №7481540 ბრძანებაში და ბრძანების პირველი პუნქტის მეორე აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „სახლი №17-თვის ღია ავტოსადგომების ფართობად დაფიქსირდეს 104.8 კვ.მ., რომლიდანაც, 6 ღია ავტოსადგომი მდებარეობს №01.17.12.003.258 საკადასტრო ერთეულზე (82.8 კვ.მ), ხოლო 1 ღია ავტოსადგომი მდებარეობს №01.17.12.003.266 საკადასტრო ერთეულზე (22 კვ.მ).
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 16 მაისის №7481540 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 16 მაისის №7481540 და 2025 წლის 27 მაისის №7490489 ბრძანებებთან ერთად.
4.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.